სკოლის დასახელება	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, დიმის N 1 საჯარო სკოლა.
მასწავლებელი	ნინო ნატრიაშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან	„ცნობილი ხუთეული“(წიგნი მეათე)-ენიდ ბლაიტონი-თავი მესამე, „სოფლად“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი, მე-3 კლასი.
მისაღწევი შედეგები	I, 2;I,3;I,4;I,5;I,6;I,7:I,8;I,9:I,12;I,13:I,14:1,15.
წინასწარი ცოდნა	,,საიდუმლო შვიდეული“-ენიდ ბლაიტონი-,,რა მოახსენეს პიტერს“,იცნობენ ნაწარმოების გმირებს,განსაზღვრეს პერსონაჟების ქცევა,შინაგა ნი სამყარო-ფასეულობები,პიროვნული მახასიათე ბლები,ემოციები,ურთიერთობები სხვა პერსონაჟე ბთან(წარმოადგინეს რუკების,ცხრილების,სქემების სახით),შექმნეს ფოტორობოტები სიტყვიერ პორტრეტებზე დაყრდნობით.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო	**აქტივობა 1:** 2 სთ. **აქტივობა 2:** 1 სთ. **აქტივობა 3:** 8 სთ, 40 წთ.
აქტივობა 1 „ცნობილი ხუთეული“(წიგ ნი მეათე) - ენიდ ბლაიტონი - თავი მესამე, „სოფლად“ - **მოცემული ტექსტის ხელნა წერი ვერსიის შექმნა.**	**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეები აიმაღლებენ წიგნიერების დონეს, უკეთ გაიგებენ და გაიაზრებენ ტექსტს. დახვეწენ კალიგრაფიას. **აქტივობის აღწერა: ა)ტექსტის დაყოფა ნაწილ-ნაწილ და გადაწერა,** ისე, რომ ადვილად მოხერხდეს შესრულებული სამუშაოს ამოჭრა და ხელნაწერი ნამუშევრებისათვის განკუთვნილ ალბომში გადატანა. ყურადღება მახვილდება, რომ ნაშრომი შესრულდეს უშეცდომოდ, ლამაზი კალიგრაფიით. სასურველ შედეგამდე, შესაძლოა, საჭირო გახდეს ტექსტის რამდენჯერმე გადაწერა. **ბ)მოცემული ტექსტის მიხედვით ილუსტრაციის შექმნა.** როცა მოსწავლეები შექმნიან ტექსტის მოცე მული მონაკვეთის შესაბამის ილუსტრაციებს, განსა-ზღვრავენ ალბომის ფურცლის ფორმატს და ამის შემდეგ ხელნაწერებსა და ილუსტრაციებს მისცე-მენ მოსახერხებელ ფორმას. მოიფიქრებენ ფურცელ ზე განლაგების დიზაინს და დააკრავენ (წებო, წებო-ვანი ლენტი და სხვ.) დასრულებული სამუშაო კოლექტიური

<table>
<tr><td></td><td>შრომის ნაყოფია და ერთნაირად ძვირფასია ყველასათვის.
ხელნაწერი ნამუშევრების
ალბომი განთავსდება საგამოფენო თაროზე.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2

თხზულების წერა:
,,ჩემი ოთხფეხა მეგობარი“</td><td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი - წაკითხვა და ამოწერა</td></tr>
</table>
აქტივობის მიზანი: შემოქმედებითი უნარების განვითარება, ემოციური ინტელექტის აღზრდა.
აქტივობის აღწერა: 1) ტექსტიდან იმ აბზაცების ამ ოწერა და წაკითხვა, სადაც აღწერილია ტიმისა და ჯორჯის დამოკიდებულება,ტიმის მიმართ სხვა ბავშვების მზრუნველობა (,,კურდღლის გორა! ტიმ, ზუსტად საშენო ადგილი
იქნება. დარწმუნებული ვარ, მოგეწონება, - გაეცინა ჯორჯს.“ ,,ჰოდა, ჩვენს ტიმს წინ მშვენიერი გასარ
თობი ელის.“ გეყოფა, ტიმ, - მოეფერა ძაღლს ჯორჯი,
ჭკუაზე მოდი ახლა.“ ,,ტომის გაჭირვებიდან დასა
ხსნელად ოთხ ბავშვს მთელი ოცი წუთი დასჭირ
და.“ ,,ოჰ,ენი,როგორ ატკინე! როგორ ატკინე!- აყვი
რდა ჯორჯი,-მე მიმიშვი!“ ,,- როგორც ჩანს,რაღაც
იტკინა,-ძალიან შეწუხდა ჯორჯი,-დარწმუნებუ
ლი ვარ,იტკინა რამე.რომ არ სტკიოდეს,ასე არ იწკმუტუნებდა.“ ,,ვეტერინარს ხომ არ ვაჩვენოთ?“
,,ნეტავ მართლა ხომ არ დაუშავდა რამე ტიმს?“ და
სხვ.).
მომდევნო ეტაპზე განხორციელდება ამოწერილი და წაკითხული აბზაცების ანალიზი, შემდეგ ჩამოყალიბდება დასკვნა,რომ ძაღლი, ისევე როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმები, საჭიროებს მზრუნველობას და დაცვას, ხაზგასმით წარმოჩენა,
რომ აქვს შიმშილის, წყურვილის მოთხოვნილება,
სიცივის, ტკივილის განცდა....
2) არარსებული დიალოგების შექმნა(მოიფიქრებენ
და ჩაწერენ ახალ დიალოგებს, საკუთარი ფანტაზი
ით...)
3) თხზულების წერა:
ა) სათაურის შერჩევა(,,ჩემი ცუგა“, ,,ბროლიას ოინე
ბი“, ,,საყვარელი ბომბორა“, ,,მწყემსი ბასარა“ ..)
ბ)ძაღლის გარეგნული ნიშნებისა და განვითარებუ
ლი უნარების აღწერა.
გ)საინტერესო ეპიზოდის ან ეპიზოდების აღწერა
ყოველდღიური თანაცხოვრებიდან
</td></tr>
</table>

აქტივობა 3 კინოფილმებზე კოლექტიური დასწრება	**აქტივობის აღწერა**	**აქტივობის მიზანი**
	აქტივობის მიზანი: ცნობიერების ამაღლება. **აქტივობის აღწერა:** აქტივობის განხორციელების პირველ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს ესა უბრება ძაღლის გონიერების შესახებ, მოცემული ტექსტის პარალელურად, გაახსენებს მე-3 კლასში შესწავლილ მასალას:იაკობ გოგებაშვილის ,,ჭკვია ნი ძაღლები“ .მოსწავლეების აქტიური ჩართულო ბით შეადგენს იმ კინოფილმების ჩამონათვალს, სადაც მთავარი მოქმედი გმირი ადამიანის ოთხფეხა მეგობარი,ძაღლი არის: **1. ,,ჰაჩიკო“, 1987წ.** ქვეყანა-იაპონია, რეჟისორი-სეიძირო კოამა. დრო-1 სთ,47წთ. 2. **,,ტოგო“,2019წ.** ქვეყანა-აშშ, რეჟისორი ერიკსონ კორი. დრო-1 სთ.53 წთ. 3. **,,წინაპართა ძახილი“,2020წ.** ქვეყანა-აშშ, რეჟისორი-ქრის სანდერსი. დრო-1 სთ.40 წთ. 4. **,,თეთრი ბიმი-შავი ყური“** ქვეყანა: ყოფილი სსრკ,1977წ. რეჟისორი- სტანისლავ როსტოცკი დრო-3 სთ, 40 წთ. ფილმების ჩვენება მოხდება ცალ-ცალკე. თითოე ული ფილმის შემდეგ მოსწავლეები წერენ შთაბე ჭდილებებს.

დანართი 1:

რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა:

შემოთავაზებული ტექსტების შერჩევისას გავითვალისწინე სამიზნე ჯგუფის(მესამე კლასის) ასაკობრივი თავისებურება და ამიტომ არჩევანი შევაჩერე ტექსტი ა) ***„ცნობილი ხუთეული“(წიგნიმეათე) - ენიდ ბლაიტონი - თავი მესამე, „სოფლად“***

იმიტომ რომ მოცემული ტექსტის შინაარსი, მოცულობა სრულად შეესაბამება სამიზნე ჯგუფის შესაძლებლობებსა და ინტერესების სფეროს, რადგან პერსონაჟები მათი თანატოლები არიან. პირველი აქტივობის დასაწყისი, რომელიც ითვალისწინებს ტექსტის ხელნაწერი ვერსიის შექმნას, ხელს შეუწყობს ტექსტის შინაარსის სრულყოფილად გაგება- გააზრებას და შექმნის სასურველ ნიადაგს, უფრო მაღალ, სააზროვნო უნარებზე გასასვლელად. აქტივობის მეორე ნაწილის განხორციელება აძლიერებს წარმოსახვას, რადგან პატარები ტექსტის სასურველი მონაკვეთების მიხედვით ქმნიან ილუსტრაციებს.

მეორე აქტივობის პირველი, მეორე და მესამე ნაბიჯები ერთმანეთთან მტკიცედ და ლოგიკურადაა დაკავშირებული, იმიტომ რომ აქტივობის განხორციელების სტრუქტურიდან გამომდინარე ორგანულ კავშირად უნდა ჩაითვალოს(ტექსტიდან შესაბამისი აბზაცების ამოწერა და გაანალიზება განცდისა და თანაგანცდის უნარების გასააქტიურებლად, არარსებული დიალოგების შექმნა და ბოლოს თხზულების წერა, უფრო მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა, კრიტიკული აზროვნება, ემოციური ინტელექტი და სხვ.)

რაც შეეხება მესამე აქტივობას, კინო-ფილმებზე კოლექტიური დასწრება თანამედროვე სასკოლო პირობებში ადვილი შესაძლებელია, თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას შევასრულოთ ასეთი აქტივობები. ბავშვები ეჩვევიან კინო-ფილმებზე კოლექტიურად დასწრების კულტურას, ქცევის წესებს, შესაძლებელია, აგრეთვე, სასურველი კინოფილმის, ცალკეული ეპიზოდის განმეორებით ჩვენება. უფრო საინტერესო პროცესია შთაბეჭდილებების წერა და ალბომში მოთავსება, რადგან ნაშრომები ინახება და წლების შემდეგ ბავშვები აღიქვამენ, როგორც მათი ბიოგრაფიის საინტერესო ნაწილს. მით უმეტეს, თუ არსებობს აქტივობის შესრულების დამადასტურებელი ფოტო-ვიდეო მასალები.

კინო-ფილმების ჩვენება ბოლო აქტივობად შემოვინახე, რადგან მინდოდა, არარსებული დიალოგების, თხზულების წერის დროს მოსწავლეები თავისუფალი ყოფილიყვნენ ეკრანიდან ნანახის, გაგონილი ფრაზების ზეგავლენისაგან. მინდოდა, ეფიქრათ და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეექმნათ შემოქმედებითი შრომის პროდუქტი.

ნინო ნატრიაშვილი,
ბაღდათის მუნიციპალიტეტი, დიმის N1 საჯარო სკოლა, დაწყებითი კლასების მასწავლებელი.
05.05.2021

ყველაზე წიგნიერი